შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“

გამარტივებული ელექტრონული ტენდერის

დ ო კ უ მ ე ნ ტ ა ც ი ა

ქ.ნინოწმინდას მყარი საყოფაცხოვრებო გადანაყრების პოლიგონის
კეთილმოწყობის სამუშაოების
შესყიდვის შესახებ
(CPV კოდი - 45300000)

ქ. თბილისი
2014 წელი

<u>სარჩევი</u>

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის ----------3
2. ტექნიკური დოკუმენტაცია ----------7
3. დამატებითი ინფორმაცია ----------14
4. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი ----------15
5. დანართი N1 აფიდავიტის საილუსტრაციო ფორმა ----------26
6. დანართი N2 რეკვიზიტები ----------27
7. დანართი N3 ინფორმაცია მსგავსი სამუშაოების შესახებ ----------28
8. დანართი N4 ინფორმაცია სამუშაოთა შესრულების პროცეში გამოყენებული მანქანა - მექანიზმების შესახებ ----------29
9. დანართი N5 საბანკო გარანტიის ნიმუში ----------30

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

1.1. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში - სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების შესაბამისად.

1.2. სატენდერო წინადადების წარდგენისათვის უნდა იყოთ დარეგისტრირებული სისტემაში მიმწოდებლის სტატუსით. შემდეგ ვალდებული ხართ გაეცნოთ აფიდავიტს და დაეთანხმოთ მას (გაცნობას და თანხმობას ადასტურებთ სისტემის მეშვეობით). აფიდავიტის საილუსტრაციო ფორმა იხ. დანართი №1.

1.3. ამის შემდეგ, მიმწოდებელი ვალდებულია ჯერ წარმოადგინოს სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის ელექტრონული გარანტია, რომლის მოქმედების ვადა განსაზღვრული იქნება არანაკლებ 160 კალენდარული დღით სატენდერო წინადადების მიღების დაწყების დღიდან, ხოლო შემდეგ გადაიხადოს ტენდერში მონაწილეობის საფასური.

1.4. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის ელექტრონული გარანტია უნდა იქნას წარმოდგენილი სატენდერო განცხადებაში მითითებული შესყიდვის სავარაუდო სავარაუდო ღირებულების 1%-ის ოდენობით. ტენდერში მონაწილეობის საფასური შეადგენს 50 ლარს.

1.5. ელექტრონული გარანტიის წარდგენისა და საფასურის გადახდის სისტემაში არსებული ავტომატური საშუალებების დროებითი ტექნიკური გაუმართაობის შემთხვევაში, ელექტრონული გარანტიის წარდგენა და საფასურის გადახდა ყოველ კონკრეტულ ტენდერში შესაძლებელია განხორციელდეს სისტემის გამოყენების გარეშე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან წინასწარი შეთანხმებით.

1.6. ამ ინსტრუქციის 1.5. პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, როდესაც ხდება ელექტრონული გარანტიის წარდგენა და საფასურის გადახდა სისტემის გამოყენების გარეშე, ელექტრონული გარანტიის დედანი და საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი წარედგინება შემსყიდველ ორგანიზაციას. აღნიშნული ქმედებების განხორციელების გარეშე თქვენ არ გექნებათ სატენდერო წინადადების წარდგენისა და შესაბამისად ტენდერში მონაწილეობის შესაძლებლობა.

1.7. ელექტრონული გარანტიის ოდენობა შეადგენს შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების 1 (ერთ) პროცენტს.

1.8. მას შემდეგ, რაც ზემოთაღნიშნულ ქმედებებს განახორციელებთ, თქვენ უფლება გაქვთ სისტემის მეშვეობით წარადგინოთ სატენდერო წინადადება.

1.9. სატენდერო წინადადება შედგება სატენდერო წინადადების ფასისგან და ტექნიკური დოკუმენტაციისგან.

1.10. ტექნიკური დოკუმენტაცია არის პრეტენდენტის მიერ სისტემაში ატვირთული შესყიდვის ობიექტისა და პრეტენდენტის შესახებ ნებისმიერი სახის ინფორმაცია,რომელიც მოთხოვნილია სატენდერო განცხადებითა და სატენდერო დოკუმენტაციით, გარდა ადმინისტრაციული ორგანოდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებისა.

1.11. ტექნიკური დოკუმენტაციის ატვირთვის შემდეგ, თქვენ გაქვთ შესაძლებლობა მიუთითოთ თქვენი სატენდერო წინადადების ფასი კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

1.12. სატენდერო წინადადების ფასის მითითებისთანავე თქვენ უფლება გაქვთ მიიღოთ მონაწილეობა ელექტრონულ ვაჭრობაში, რომელიც იყოფა ძირითად დროდ და დამატებით 3 რაუნდად.

1.13. ძირითად დროში უფლება გაქვთ ცვალოთ თქვენი ფასი, კლებადობის პრინციპის გათვალისწინებით და შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ ბიჯზე არანაკლები ოდენობით.

1.14. ბიჯი არის სატენდერო წინადადების ფასის კლების წინასწარ განსაზღვრული მინიმალური ოდენობა, რომელიც მითითებულია სატენდერო განცხადების შესაბამის ველში.

1.15. დამატებითი რაუნდების თითოეულ რაუნდში პრეტენდენტს უფლება აქვს მხოლოდ ერთხელ შეამციროს წინადადების ფასი, რისთვისაც განესაზღვრება ორი წუთი. დამატებით რაუნდებში მონაწილეობა სავალდებულო არ არის და პრეტენდენტს უფლება აქვს დამატებით რაუნდში მონაწილეობა არ მიიღოს და, შესაბამისად, ძალაში დარჩება მის მიერ ბოლოს დაფიქსირებული ფასი. რაუნდებში მონაწილეობის მიღება გულისხმობს ზემოთ აღნიშნული პრინციპით ფასის შემცირებას ან მის იგივე ოდენობით დატოვებას.

1.16. დამატებით რაუნდებში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ იმ პრეტენდენტებს, რომლებმაც ძირითად დროში წარადგინეს წინადადება დადგენილი წესით. პირველ რაუნდში პრეტენდენტის მიერ წინადადების ფასის წარდგენის რიგითობა განისაზღვრება ძირითად დროში წარდგენილი წინადადების ფასის მიხედვით, კერძოდ, პირველ რაუნდში ბოლო შეთავაზებას აკეთებს ის პრეტენდენტი, რომელმაცძირითად დროში ყველაზე დაბალი ფასი დააფიქსირა, ხოლო ყოველ მომდევნო რაუნდში – კი ის პრეტენდენტი, რომელმაც წინა რაუნდში ყველაზე დაბალი ფასი დააფიქსირა. წინადადების თანაბარი ფასების დაფიქსირების შემთხვევაში, რაუნდში ბოლო შეთავაზებას აკეთებს ის პრეტენდენტი, რომელმაც პირველმა დააფიქსირა ასეთი ფასი.

1.17. მას შემდეგ, რაც დასრულდება დამატებითი რაუნდები, სისტემა პრეტენდენტებს აჯგუფებს სატენდერო წინადადების ფასის მიხედვით. ამის შემდეგ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მოწმდება ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის ტექნიკური დოკუმენტაცია.

1.18. იმ შემთხვევაში თუ ორი და მეტი პრეტენდენტის მიერ სისტემაში მითითებულია თანაბარი ფასი, სისტემა ავტომატურად ანიჭებს უპირატესობას იმ პრეტენდენტს, რომელმაც პირველმა მიუთითა სატენდერო წინადადების აღნიშნული ფასი.

1.19. თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია არ შეესაბამება სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს, შემსყიდველი მას განუსაზღვრავს არაუმეტეს 3 დღისა ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტებისათვის. დაუშვებელია ტექნიკური დოკუმენტაციის ისეთი დაზუსტება, რომელიც გამოიწვევს სატენდერო წინადადების არსებით ცვლილებას და მოახდენს გავლენას წინადადების ფასზე.

1.20. თუ პრეტენდენტის სატენდერო წინადადება შეესაბამება სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს, შემსყიდველი ორგანიზაცია მიმართავს მას ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გასაცემი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის მოთხოვნით.

1.21. იმ შემთხვევაში თუ ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტმა წარმატებით გაიარა ყველა ზემოთ მოყვანილი ეტაპი (არ იქნა დისკვალიფიცირებული), ამ პრეტენდენტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარდგენიდან არაუგვიანეს 5

სამუშაო დღისა, შემსყიდველი დებს მასთან სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას.

1.22. პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია ხდება შემდეგ შემთხვევებში:

ა) პრეტენდენტის მიერ ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის ან/და ხარვეზის მქონე მონაცემების წარმოდგენისას;

ბ) თუ პრეტენდენტი უარს აცხადებს მის მიერ წარმოდგენილ სატენდერო წინადადებაზე;

გ) თუ საუკეთესო ფასის მქონე პრეტენდენტის სატენდერო წინადადება ან/და საკვალიფიკაციო მონაცემები არ შეესაბამება (მათ შორის ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტების შემდეგ) სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს;

დ) თუ გამარჯვებული პრეტენდენტი უარს განაცხადებს ხელშეკრულების დადებაზე ან ვერ წარმოადგენს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიას (ასეთი გარანტიის მოთ-ხოვნის არსებობის შემთხვევაში) კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადაში;

ე) პრეტედენტის მიერ არაკეთილსინდისიერი ქმედების განხორციელებისას.

1.23. ამ ინსტრუქციის 1.22. ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს მიმართოს ყველაზე დაბალი ფასის მქონე მომდევნო პრეტენდენტს, თუ ამ პრეტენდენტის მიერ სისტემაში ატვირთული ტექნიკური დოკუმენტაცია შეესაბამება სატენდერო განცხადებასა და სატენდერო დოკუმენტაციაში მოცემულ მოთხოვნებს.

1.24. გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ან ელექტრონული ტენდერის ჩატარებისას, „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის “ჟ”, “რ” და “ტ” ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ეტაპის შემდეგ ელექტრონული გარანტია უბრუნდება პრეტენდენტს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც:

ა) პრეტენდენტი უარს იტყვის თავის სატენდერო წინადადებაზე;

ბ) პრეტენდენტი შეყვანილია შავ სიაში შესაბამისი ტენდერის ჩატარების შედეგად;

გ) პრეტენდენტი დისკვალიფიცირებულია „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის “ბ”, “გ”, “ე” და „ზ“ ქვეპუნქტების შესაბამისად.

1.25. იმ შემთხვევაში, თუ ელექტრონული გარანტიის პრეტენდენტისთვის დაბრუნება მოხდება ამ ინსტრუქციის 1.24. პუნქტით დადგენილი პირობების დარღვევით, პრეტენდენტი ვალდებულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დაუბრუნოს საგარანტიო თანხა შესაბამისი მოთხოვნისთანავე.

1.26. ელექტრონული ტენდერის შეწყვეტა:

ა) სატენდერო კომისიას უფლება აქვს შეწყვიტოს ტენდერი ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის დისკვალიფიკაციის შემდეგ, თუ მომდევნო ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის წინადადების ფასი ბაზარზე შეცვლილი გარემოებების შედეგად, მნიშვნელოვნად აღემატება დისკვალიფიცირებული პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებულ ფასს ან/და ამ შესყიდვის ობიექტის საბაზრო ღირებულებას;

ბ) სატენდერო კომისიას უფლება აქვს გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში, ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს, შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდა მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე, საქართველოს სახელმწიფო ან/და

საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე;

გ) შესყიდვის პროცედურების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის პრეტენდენტს წარუდგინოს კონკრეტული მტკიცებულება ან დეტალური ინფორმაცია, რომლის საფუძველზედაც მიიღო ეს გადაწყვეტილება. შესყიდვის პროცედურების შეჩერების ან შეწყვეტისას შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, აანაზღაუროს შესყიდვაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები.

1.27. ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ქართულ ენაზე. დოკუმენტის ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

1.28. დავის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

1.29. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში სისტემა) ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/ და ბეჭედდასმული (ბეჭედის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ.

1.30. პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება.

1.31. ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

2. ტექნიკური დოკუმენტაცია

2.1. საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

საკვალიფიკაციო მოთხოვნების თანახმად, პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

2.1.1. იურიდიული პირებისათვის:

ა) ცნობა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

ბ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

გ) ხელისმოწერისათვის გაცემული მინდობილობა, იმ შემთხვევაში თუ ხელმომწერი პირი არ არის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი;

დ) ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, იურიდიული პირის ქონებაზე საჯარო სამართლებრივი შეზღუდვის (ყადაღის) არარსებობის შესახებ;

ე) ცნობა საგადასახადოდან დავალიანების არ ქონის შესახებ.

2.1.2 ფიზიკური პირებისათვის:

ა) ცნობა უფლებამოსილი ორგანოდან, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

ბ) ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი, ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ ააქვს შეზღუდული ქმედუნარიანობა;

გ) პირადობის მოწმობის ასლი.

2.1.3 **როგორც იურიდიული ასევე ფიზიკური პირებისათვის:**

ა) რეკვიზიტები, სატენდერო წინადადების ფასი და ინფორმაცია სამუშაოების საგარანტიო ვადის შესახებ დანართი №2-ის მიხედვით;

ბ) ფასების ცხრილი (ხარჯთაღრიცხვა) **ატვირთულის** მიხედვით;

გ) ობიექტის შესრულების ვადები;

დ) პრეტენდენტს შესრულებული უნდა ქონდეს ჯამურად არანაკლებ **500 000** ლარის ღირებულების მსგავსი ხასიათის, სირთულის და შინაარსის სამუშაოები, რაც დადასტურებული იქნება შესაბამისი დასკანერებული დოკუმენტაციის (გაფორმებული ხელშეკრულებები, ამ სამუშაოების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია) წარმოდგენით. მსგავს სამუშაოებში იგულისხმება უპირატესად ის სამუშაოები, რომელსაც თან ახლავს მნიშვნელოვანის მოცულობის მიწის სამუშაოები (მოჭრა, გადატანა, ყრილის მოწყობა, შემკვრივება, გრუნტის დამბების მოწყობა, წყალარინების (არხები) მოწყობა, ქვიშა-ხრეშოვანი გზების მოწყობის სამუშაოები). ქვეკონტრაქტორის არსებობის შემთხვევაში, უშუალოდ შესყიდვაში მონაწილე პირის (ქვე-კონტრაქტორის გარეშე) გამოცდილება უნდა შეადგენდეს ტენდერით გათვლისიწნებული ანალოგიური ხასიათის, სირთულისა და შინაარსის სამუშაოების საერთო გამოცდილების არანაკლებ 60%;

ე) სატენდერო წინადადების ხელის მომწერისათვის უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული მინდობილობა (საჭიროების შემთხვევაში).

ვ) ინფორმაცია მსგავსი სამუშაოების შესრულების შესახებ დანართის №-3 შესაბამისად;

ზ) ინფორმაცია ქვე-კონტრაქტორის მიერ შესასრულებელი სამუშაოების შესახებ:

--- **შენიშვნა**: ქვეკონტრაქტორის აყვანის შემთხევაში, მასზე წარმოდგენილი იქნეს შემდეგი სახის ინფორმაცია:

- ქვე-კონტრაქტორის დასახელება და მისამართი;
- შესასრულებელი სამუშაოების დასახელება;
- შესასრულებელი სამუშაოების ღირებულება;
- ანალოგიური სამუშაოების გამოცდილება დამადასტურებელი დოკუმენტაციის თანდართვით;

თუ აღნიშნული დოკუმენტაცია არ იქნება წარმოდგენილი ქვე-კონტრაქტორის საკითხი არ განიხილება.

ინფორმაცია წარმოდგენილი იქნეს ქვემოთ მოყვანილი ცხრილი შესაბამისად:

ცხრილი N1

ქვეკონტრაქორი (დასახელება, მისამართი)	შესასრულებელი სამუშაოების დასახელება	შესასრულებელი სამუშაოების ღირებულება	ქვე-კონტრაქტორის მიერ ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილება

თ) ინფორმაცია სამუშაოთა შესრულების პროცეში გამოყენებული მანქანა-მექანიზმების შესახებ:

თ.ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველ პირს ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად უნდა გააჩნდეს საკუთარი ან საქართველოს სამოქალაქო კოდესით ნებადართული ან აუკრძალავი ნებისმიერი ფორმით (ქირა, თხოვება, ლიზინგი და ა.შ.) სატენდერო დოკუმენტაციაში მოცემული მანქანა-მექანიზმები. ინფორმაცია სამუშაოთა შესრულების პროცესში გამოყენებული მანქანა-მექანიზმების შესახებ წარმოდგენილი უნდა იყოს დანართი N4 შესაბამისად. უშუალოდ პრეტენდენტ პირს (ქვე-კონტრაქტორის გარეშე) საკუთრებაში უნდა გააჩნდეს მოთხოვნილი მანქანა-მექანიზმების მთლიანი რაოდენობის არანაკლებ 30%;

თ.ბ) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს მოთხოვნილი მანქანა-მექანიზმების ტექნიკური პასპორტების, ან/და საკუთრების დამადასტურებელი სხვა დოკუმენტაციის ასლები, იჯარის შემთხვევაში დამატებით უნდა იყოს წარმოდგენილი საიჯარო ხელშეკრულებების ასლები;

ი) ინფორმაცია შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ძირითად სპეციალისტთა (იმ ძირითად ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის, რომელიც დაკავებული იქნება ამ ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებაზე) კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ. შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის პირის მიერ წარმოდგენილი ძირითადი სპეციალისტების 50%-ს უნდა გააჩნდეს ტენდერით განსაზღვრული მსგავსი ხასიათის სირთულის და შინაარსი სამუშაოების შესრულების არანაკლებ 3 წლიანი გამოცდილება.

ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს წერილობითი სახით.

2.2. ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების გაცემის თარიღი არ უნდა უსწრებდეს ელექტრონული ტენდერის სისტემის მეშვეობით გამოცხადების თარიღს.

2.3. ამ პუნქტის 2.2. ქვეპუნქტით გათვალისწინებული, ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, დედნის სახით ან ნოტარიულად დამოწმებული ასლები, წარმოდგენილი უნდა იქნეს შემსყიდველ ორგანიზაციაში მოთხოვნიდან არა უმეტეს 5 (ხუთი) სამუშაო დღეში. არარეზიდენტმა პრეტენდენტ(ებ)მა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ლეგალიზებული ან აპოსტილით

დამოწმებული, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.

2.4. პრეტენდენტის მიერ ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა შემსყიდველ ორგანიზაციაში ხორციელდება სისტემის გამოყენების გარეშე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმით. პრეტენდენტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოუდგენლობის ან/და ხარვეზის მქონე მონაცემების წარმოდგენის შემთხვევაში, სატენდერო კომისია მოახდენს ამ პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას.

2.5 იმ შემთხვევაში თუ შესყიდვაში მონაწილეობს საზღვარგარეთ რეგისტრირებული კომპანია ან მისი ფილიალი და იგი იყენებს საზღვარგარეთ რეგისტრირებული კომპანიის მონაცემებს (სამუშაო გამოდილება, ინფორმაცია მანქანა მექანიზმების შესახებ ან/და სხვა) ასეთ შემთხვევაში ფილიალი ვალდებულია ერთობლივად წარმოადგინოს , როგორც თავისი ასევე საზღვარგარეთ რეგისტრირებული სათაო კომპანიის საკვალიფიკაციო მონაცემები. აღნიშნული ინფორმაციის დამდასტურებელი სათაო კომპანიიდან წარმოსადგენი დოკუმენტაციის ასლები სათანადო წესით უნდა იყოს დამოწმებული საზღვარგარეთ რეგისტრირებული კომპანიის შესაბამის ქვეყანაში, რომლითაც დადასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტების ორიგინალთან (დედანთან) შესაბამისობა. აღნიშნული ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, პრეტენდენტი დისკვალიფიცირებული იქნება ტენდერიდან.

2.6. ანგარიშსწორების პირობები:

2.6.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარში, მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

2.6.2. ანგარიშსწორება მოხდება ყოველთვიურად, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოებისა და დადასტურებული მოცულობების მიხედვით, მიღება-ჩაბარების აქტის (ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობების მიღების აქტი) და დამატებული ღირებულების გადასახადის ანგარიშ-ფაქტურის გაფორმების საფუძველზე, მიღება-ჩაბარების აქტისა და დამატებული ღირებულების გადასახადის ანგარიშ-ფაქტურის წარდგენიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში.

2.6.3 მიმწოდებლის მოთხოვნის შემთხვევაში გამოიყენება წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი), არაუმეტეს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 40%-ის (პროცენტი) ოდენობით. ავანსის გაცემის წესი და პრობები მოცემულია ხელშეკრულების პროექტში. შემსყიდველი უფლებამოსილია არ დააკმაყოფილოს მიმწოდებლის მოთხოვნა ავანსის გაცემასთან დაკავშირებით.

2.6.4 **შემსყიდველის მიერ ავანსის გაცემასთან დაკავშირებით დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს <u>საბანკო დაწესებულების</u> მიერ გაცემული გასაცემი ავანის ოდენობის უპირობო საბანკო გარანტია,რომლის ვადაც 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდესხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების ვადას.**

2.6.5 თეთრ სიაში რეგისტრირებული პირის შემთხვევაში წინასწარი ანგარიშსწორების (ავანსი) პირობები:

წინასწარი ანგარიშსწორებისას თეთრ სიაში რეგისტრირებული მიმწოდებლების შემთხვევაში საქართველოში მოქმედი საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული წინასწარი საავანსო საბანკო გარანტიის ოდენობა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული

„გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-26[2] მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნათა თანახმად ნახევრდება.

2.6.6 სამუშაოს ხარისხის დაცვის მიზნით, შემსყიდველის მიერ ყოველთვიურად დაკავებული იქნება შესრულებული სამუშაოების ღირებულების 5%, რომლის ნახევრის (2,5%) დაბრუნება მოხდება სამუშაოს სრული დასრულებისა და შემსყიდველის მიერ შექმნილი დასრულებული სამუშაოების მიმღების კომისიის მიერ შედგენილი ობიექტის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, ხოლო მეორე ნახევარი შესრულებული „სამუშაოს სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის საჭირო საგარანტიო ვადის“ (ერთი წლის) გასვლის შემდეგ. იმ შემთხვევაში, თუ კომისიის მიერ აქტის შედგენისას დაფიქსირებული იქნება შესრულებული სამუშაოს ნაკლი ან უხარისხობა, მიმწოდებელს აღნიშნული თანხა არ აუნაზღაურდება დეფექტების გამოსწორებამდე. მიმწოდებლის მიერ დაკავებული თანხის ოდენობის უპირობო საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოისლია დაუბრუნოს დაკავებული შესრულებული სამუშაოების 2.5 % მიმწოდებელ ორგანიზაციას. წარმოდგენილი უპირობო საბანკო გარანტიის ვადა უნდა აღემატებოდეს დეფექტების აღმოფხვრის ვადას მინიმუმ 2 თვით.

2.6.7 იმ შემთხვევაში თუ, სხვადასხვა მიზეზების გამო მიმწოდებელი ორგანიზაცია ვერ უზრუნველყოფს ან უარს აცხადებს ზემოხსენებული კომისიის მიერ აქტში დაფიქსირებული დეფექტების აღმოფხვრასთან დაკავშირებით, შემსყიდველი ობიექტზე ზედამხედველობის განმახორციელებელ ორგანიზაციასთან ერთად შეაფასებს დეფექტების აღმოფხვრის ხარჯს და მიმწოდებელს არ აუნაზღაურებს აღნიშნულ თანხას – ყოველთვიურად შესრულებული სამუშაოების ღირებულების დაკავებული 5%-დან.

2.7. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია.

2.7.1 ტენდერში გამოიყენება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, რომელიც გაცემული იქნება <u>**საბანკო დაწესებულების**</u> მიერ სახელშეკრულებო ღირებულების 5%-ის ოდენობით, ხოლო თეთრ სიაში რეგისტრირებული მიმწოდებლებისათვის საბანკო გარანტიის მოცულობა განისაზღვრება სახელშეკრულებო ღირებულების 2.5%-ის ფარგლებში.

2.7.2. იმ შემთხვევაში თუ ტენდერში ელექტრონული ვაჭრობის შედეგად გამარჯვებული მიმწოდებლის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ზე მეტით დაბალი იქნება წინამდებარე ტენდერის შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს გამარჯვებულ მიმწოდებელს მოსთხოვოს ხელშეკრულების შესრულების გარანტია 10%- მდე ოდენობით. თეთრ სიაში დარეგისტრირებული მიმწოდებლის შემთხვევაში აღნიშნული ოდენობა ნახევრდება.

2.3.3 ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის წარმოდგენის პირობები:

2.3.1 ტენდერში გამოიყენება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, რომელიც გაცემული იქნება <u>**საბანკო დაწესებულების**</u> მიერ სახელშეკრულებო ღირებულების 5%-ის ოდენობით, ხოლო თეთრ სიაში რეგისტრირებული მიმწოდებლებისათვის საბანკო გარანტიის მოცულობა განისაზღვრება სახელშეკრულებო ღირებულების 2.5%-ის ფარგლებში.

2.3.2.იმ შემთხვევაში თუ ტენდერში ელექტრონული ვაჭრობის შედეგად გამარჯვებული მიმწოდებლის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ზე მეტით დაბალი იქნება წინამდებარე ტენდერის შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს გამარჯვებულ მიმწოდებელს მოსთხოვოს ხელშეკრულების შესრულების გარანტია 10%- მდე ოდენობით. თეთრ სიაში დარეგისტრირებული მიმწოდებლის შემთხვევაში აღნიშნული ოდენობა ნახევრდება.

2.3.3 იმ შემთხვევაში თუ, მიმწოდებლის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ზე

დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნის შემთხვევაში, მიმწოდებელმა უნდა დაასაბუთოს ფასწარმოქმნის ადეკვატურობა ან/და ამ ფასად ტენდერით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების შესაძლებლობა. აღნიშნული დასაბუთება წარმოდგენილი უნდა იყოს სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლოს ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს " მიერ გაცემული დასკვნის საფუძველზე. პრეტენდენტმა აღნიშნული დასკვნის ღირებულება უნდა დაფაროს საკუთარი ხარჯებით და უზრუნველყოს მისი წარმოდგენა ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობის, შეტყობინების მიღებიდან არა უმეტეს 5 (ხუთი) სამუშაო დღეში. აღნიშნულ ვადაში დასკვნის წარმოუდგენლობის შემთხვევაში პრეტენდენტი დისკვალიფიცირებული იქნება ტენდერიდან.

2.3.3 ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის წარმოდგენის პირობები:

2.3.3.<u>**საბანკო დაწესებულების**</u> მიერ გაცემული ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა, 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოქმედების ვადას.

2.3.3.2.ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია წარმოდგენილი უნდა იყოს სატენდერო კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე გამარჯვებული პირის ხელშეკრულების გასაფორმებლად მოწვევის თარიღიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

2.4. დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები.

2.5 სატენდერო წინადადების ფასი და დაანგარიშების წესი.

2.5.1 პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს სატენდერო წინადადების ფასი და ფასების ცხრილი (ხარჯთაღრიცხვა) თანდართულის მიხედვით.

2.5.2. სატენდერო წინადადებაში საერთო და ერთეულის ფასი გამოსახული უნდა იყოს ლარში, რომელიც დაკავშირებული იქნება შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან, მათ შორის: სამშენებლო მასალებისა და მანქანა-მექანიზმების ტრანსპორტირების, აუცილებელი ნარჩენებისა და მასალებისგან სამშენებლო ობიექტის გათავისუფლების, დასუფთავების, ასევე ტექნიკური დავალებისა და ტექნიკური დავალების დანართებში მითითებული ხარჯების და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა ნებართვის ხარჯისა და ყველა სხვა ხარჯის გათვალისწინებით, რომელიც აუცილებელი იქნება შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან. ასევე მიმწოდებლისათვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

2.5.3. ხარჯთაღრიცხვის შედგენისას უნდა იყოს გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N55 დადგენილება ტექნიკური რეგლამენტის „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ".

2.5.4 პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება.

3.შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალება

3.1. შესყიდვის ობიექტია:

ქ. ნინოწმინდას მყარი საყოფაცხოვრებო გადანაყრების პოლიგონის კეთილმოწყობის სამუშაოების განხორციელება;

3.2.შესყიდვის ობიექტის ტექნიკური პარამეტრები, სამუშაოების აღწერილობა და განმარტებითი ბარათი იხილეთ მიმაგრებულ საპროექტო დოკუმენტებში.

3.3. **ქ.ნინოწმინდას** მყარი საყოფაცხოვრებო გადანაყრების პოლიგონის კეთილმოწყობის სამუშაოების შესრულების ვადაა მხარეთა შორის ხელშეკრულების დადებიდან **75 (სამოცდათხუთმეტი)** კალენდარული დღე.

3.4. შესრულებულ სამუშაობზე სრულფასოვანი ფუნქციონირების საგარანტიო ვადა შეადგენს ერთ წელს სამუშაოების მიღებიდან, რომლის განმავლობაშიც მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლუტაციის პროცეში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა.

3.5 შესყიდვის სავარაუდო ღირებულებაა: ღირებულებაა: **355 645 (სამასორმოცდათხუთმეტი ათას ექვსასორმოცდახუთი)** ლარი;

3.6 პრეტენდენტმა (გამარჯვების შემთხვევაში) ხელშკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) კვირის ვადაში უნდა წარმოადგინოს წერილობითი სახის ინფორმაცია თანდართული დოკუმენტაცით - შემსყიდველ ორგანიზაციაში, დაგეგმილი სამუშაობის (კერძოდ, საიზოლაციო გრუნტის მეშვეობით გადანაყრების საიზოლაციო ფენის და სამარაგე კავალიერების მოსაწყობად) შეუფერხებლად განხორციელების მიზნით საჭირო მიწის რესურსის (III კატეგორიის საიზოლაციო გრუნტი - თიხნარი და კენჭნარის მინარევით) კანონიერი წარმომავლობის თაობაზე.

3.7 პროექტის განხორციელებისას გამოყენებული სამშენებლო მასალები უნდა შეესაბამებოდეს სატენდერო დოკუმენტაციის დანართის (სამუშაოების პროექტი) მოთხოვნებსა და ამ სფეროში დადგენილ სტანდარტებს.

3.8 გამარჯვებული პრეტენდენტი ვალდებულია სამუშაოების წარმოების პარალელურად უზრუნველყოს პოლიგონზე მყარი ნარჩენების მიღება თანდართული სამუშაოების პროექტის შესაბამისად.

4. პრეტენდენტის მიერ ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასატვირთი მონაცემები.

ა) რეკვიზიტები, სატენდერო წინადადების ფასი და ინფორმაცია სამუშაოების საგარანტიო ვადის შესახებ დანართი №2-ის მიხედვით;

ბ) ფასების ცხრილი (ხარჯთაღრიცხვა) ატვირთულის მიხედვით;

გ) შესყიდვის ობიექტის შესრულების ვადები;

დ) პრეტენდენტის მიერ შესრულებული ჯამურად არანაკლებ **500 000** ლარის მსგავსი ხასიათის, სირთულის და შინაარსის სამუშაოები, რის დასადასრტურებლადაც პრეტენდენტმა სატენდერო წინადადებასთან ერთად, ერთიან ელექტრონულ სისტემაში უნდა ატვირთოს შესაბამისი დოკუმენტაცია (გაფორმებული ხელშეკრულებები და ამ სამუშაოების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია).

ე) ინფორმაცია მსგავსი სამუშაოების შესახებ დანართის №-3 შესაბამისად;

ვ) ინფორმაცია სამუშაოთა შესრულების პროცეში გამოსაყენებელი მანქანა-მექანიზმების შესახებ დანართი N4 შესაბამისად. მანქანა-მექანიზმების დასახელება, მინიმალური რაოდენობა და მინიმალური ტექნიკური პარამეტრები მითითებულია დანართში N4. აღნიშნულის დასადასტურებლად პრეტენდენტმა ერთიან ელექტრონულ სისტემაში, სატენდერო წინადადებასთან ერთად უნდა ატვირთოს მანქანა-მექანიზმების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენაცია (საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი/იჯარით, ქირით ან სხვა ფორმით ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი და/ან დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს პრეტენდენტისა და მანქანა-მექანიზმების მესაკუთრის ნებას და მზადყოფნას, პრეტენდენტის მიერ წინამდებარე ტენდერში გამარჯვების შემთხვევაში, ამ მანქანა-მექანიზმების პრეტენდენტის მფლობელობაში გადაცემის თაობაზე).

ზ) წარმოდგენილი უნდა იყოს მოთხოვნილი მანქანა-მექანიზმების ტექნიკური პასპორტების, ან/და საკუთრების დამადასტურებელი სხვა დოკუმენტაციის ასლები, იჯარის შემთხვევაში დამატებით უნდა

იყოს წარმოდგენილი საიჯარო ხელშეკრულებების ასლები;

თ) ინფორმაცია ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის იმ ძირითად ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ, რომელიც დაკავებული იქნება ამ ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებაზე.

ი) სატენდერო წინადადების ხელის მომწერისათვის უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული მინდობილობა (საჭიროების შემთხვევაში).

5. სამუშაოების აღწერილობა

პოლიგონების კეთილმოწყობა მოიცავს შემდეგ სამუშაოებს:

1. სადარაჯო ჯიხურების საძირკვლის მოწყობა;
2. მანქანა-მექანიზმების ფარდულის მოწყობა;
3. ტერიტორიის შმოღობვა-რეაბილიტაცია; (საჭიროებისშემთხვევაში, იხ. პროექტი)
4. ფანჩატურის მოწყობა;
5. საპირფარეშოს მოწყობა;
6. სახანძრო ფარის მოწყობა;
7. ურნებისა და მაჩვენებლების მოწყობა;
8. ნაგებობების განათებების შიდა ქსელები, ტერიტორიის განათების და შიდა სამოედნო ელ. ქსელის მოწყობა;
9. პოლიგონის ტრეიტორიის ვერტიკალური გეგმარება და საფარები, რომელიც გულისხმობს

   10.1 პოლიგონზე არსებული ძველი მყარი გადანაყრების მოსწორება - წარმოებს ბულდოზერისა და ექსკავატორის გამოყენებით. მოსწორება ხორციელდება პროექტში მითითებულ ნიშნულზე (იხ. ტერიტორიის დაგეგმარების ნაწილი)

   10.2 არსებული მყარი გადანაყრების იზოლაცია - ხორციელდება შემოტანილი თიხოვანი გრუნტით, შემკვრივებით.

   10.3 გადანაყრების საიზოლაციოდ საჭირო თიხოვანი გრუნტის მოპოვება მისი მარაგის პოლიგონის ექსპლუატაციის პერიოდში გამოსაყენებლად და სპეციალურ კავალიერებში განთავსება. (იხ.ტერიტორიის დაგეგმარების ნაწილი)

   10.4 დროებითი გზები - ეწყობა ღორღისგან ქვიშა-ხრეშოვან საფუძველზე, საპროექტო დოკუმენტაციაში მითითებული სქემით. (იხტერიტორიის დაგეგმარების ნაწილი)

   10.5 სანიაღვრე არხების მოწყობა - ხორციელდება ექსკავატორით, ფერდობების შემდგომი ხელით მოშანდაკებით, საპროექტო დოკუმენტაციაში მითითებული სქემით. სანიაღვრე არხები გამიზნულია მეზობელი ნაკვეთებიდან შემოდინებული ატმოსფერული წყლების მოსაცილებლად.

   10.6 სამუშაოების მიმდინარეობის პერიოდში შემოსული გადანაყრების დაბინავება - შემსრულებელი ვალდებულია მიიღოს, შეამკვრივოს და დაასაწყობოს მშენებლობის პერიოდში პოლიგონზე შემოსული მყარი საყოფაცხოვრებო გადანაყრები.

6. სამუშაოთა წარმოების ჟურნალი

სახელშეკრულებო ობიექტზე შემსრულებელმა უნდა აწარმოოს სამუშაოთა წარმოების ჟუნრნალი, სადაც ყოველდღიურად ჩაწერს დღიური შესრულებული სამუშაოების მოცულობას, შემსრულებელი პერსონალის მონაცემებს, გამოყენებული მექანიზმების და მოწყობილობების ჩამონათვალს, რომელიც მონაწილეობდა სამუშაოს შესრულებაში, ხარისხის დაცვის პროცედურებს და სხვა.

ამ ჟურნალში ტექზედამხედველი სისტემატიურად, ხოლო შემსყიდველი პერიოდულად აღნიშნავს თავის შენიშვნებს, დაკვირვებებს და რეკომენდაციებს სამუშაოს წარმოების შესახებ.

ჟურნალში ჩაიწერება განსაკუთრებული დავალებები, აღმოჩენილიდეფექტები და მათი აღმოფხვრის ვადები.

მიმწოდებელმა უნდა აწარმოოს ყველა საშემსრულებლო ტექნიკური დოკუმენტაცია, რომელიც განსაზღვრულია მოქმედი სამშენებლო ნორმებით და სტანდარტებით ობიექტის მოვლა-შენახვის სპეც იფიკის გათვალისწინებით.

7. სამუშაოთა მიღება-ჩაბარების წესი

სამუშაოების მიღება-ჩაბარების წესი განისაზღვრება ამ პუნქტით, სპეციფიკაციებითა და ხელშეკრულების პირობებით.

საწარმოო ჟურნალში აღნიშნული და ადგილზე შემოწმებული მოცულობების ჩამონათვალის საფუძველზე ტექზედამხედველი და მიმწოდებელი დაადგენენ საჭირო ხარისხით შესრულებულ სამუშაოთა მოცულობას, რომელიც უნდა იქნას შეტანილი საანგარიშო პერიოდის შესრულებული სამუშაოთა საგადასახადო ფორმებში.

სამუშაოთა მიღება განხორციელდება ყოველთვიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობების მიხედვით, დამტკიცებული ფორმების შესაბამისად.

ტექზედამხეველი ყოველ თვეს შესრულებული სამუშაოების მიღებისას ვალდებულია იხელმძღვანელოს ყოვეთვიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობებით და არ მიიღოს სამუშაოები, თუ მიმწოდებლის მიერ გამოყენებულ მასალებზე არ იქნება შესაბამისი ლაბორატორიული დასკვნები მათი გამოყენების ვარგისიანობაზე.

ყოველი თვის ბოლოს მიმწოდებელი აბარებს სამუშაოებს ტექზედამხედველს, რომელიც თავის მხრივ მას წარუდგენს შემსყიდველს. სამუშაოების მიღება-ჩაბარება მოხდება ყოველთვიურად, შემდეგი დოკუმენტების წარდგენის შემდეგ: სამუშაოთა მოცულობებისა და ღირებულების აქტი (უწყისი) და ანგარიშ-ფაქტურა.

ყოველთვიურად შესრულებული სამუშაოების შემოწმება განხორციელდება სამუშაოების შესრულების ადგილზე, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მასალების გამოცდა მოხდება ამ მასალების გამოცდისათვის საჭირო სპეციალური ლაბორატორიების ადგილმდებარეობის მიხედვით.

8. სამუშაოთა საბოლოო მიღება

სამუშაოების დასრულებიდან არაუგვიანეს 7 სამუშაო დღისა მიმწოდებელი ატყობინებს შემსყიდველს სამუშაოთა დასრულების შესახებ.

ტექზედამხედველი ამოწმებს სამუშაოთა მოცულობას ობიექტზე სამუშაოების დასრულების დროისათვის და მის მიერ სამუშაოთა მოცულობების დადასტურების შემთხვევაში გადასცემს სათანადო ინფორმაციას შემსყიდველს, სამუშაოთა მიმღები კომისის ჩამოყალიბების მიზნით.

თუ ტექ-ზედამხედველმა სამუშაოები შეაფასა წუნით, სამუშაოთა დასრულების შესახებ ინფორმაცია გადაეცემა შემსყიდველს დეფექტების აღმოფხვრის შემდეგ.

ტექ-ზედამხედველი შეტყობინების მიღებისას, შემსყიდველის ბრძანების საფუძველზე დასრულებული სამუშაობის მიმღები კომისიის ჩამოყალიბების შდგომ ხელს უწყობს და უზრუნველყოფს ობიექტზე დასრულებული სამუშაოების მიმღები კომისის მუშაობას სახელშეკრულებო სამუშაობის დამთავრების დადგენის თაობაზე და ობიექტის ექსპლუატაციაში გაშვების მიზნით.

<u>დამატებითი ინფორმაცია:</u>

სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებებისა და დამატებითი ინფორმაციის მოთხოვნა ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მოდულის „კითხვა/პასუხის“ მეშვეობით შესაბამის ტენდერში „ტენდერი გამოცხადებულია“ სტატუსის მინიჭებიდან „წინადადების მიღება დასრულებულია“ სტატუსის მინიჭებამდე არაუგვიანეს 24 საათისა, ასევე შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ სატენდერო კომისიის აპარატისათვის წერილობითი მიმართვის შემთხვევაში, მისამართზე: ქ. თბილისი, ა. პოლიტკოვსკაიას ქ. N10, მე-3 სართული. საკონტაქტო პირი: ქეთევან გელაშვილი. ტელ: 599 89 77 74.

3. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი

ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს და დაიხვეწოს ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების დროს.

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

გ.ე.ტ. N

თბილისი ---- **----------** **2014წ.**

შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“, დირექტორის ----------სახით, შემდგომში -- შემსყიდველი, ერთის მხრივ, ---------- (მიმწოდებლის დასახელება და რეკვიზიტები) შემდგომში -- მიმწოდებელი, მეორეს მხრივ, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3^1 პუნქტისა და სატენდერო წინადადების საფუძველზე, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ამ ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მიმწოდებლის მიერ ---------- სამუშაოების განხორციელება - შემდგომში სამუშაო.

მუხლი 2. ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დამატებული ღირებულების გადასახადის გათვალისწინებით შეადგენს ---- (----------) ლარს.

2.2 მხარეები ანგარიშსწორებას ახორციელებენ ლარებში (თუ მიმწოდებელი საქართველოს რეზიდენტია), ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

2.3 მიმწოდებელი ანგარიშსწორებისას ვალდებულია ყოველ თვეში წარმოადგინოს, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მთლიანი და ჯამური (დამატებული ღირებულების გათვალისწინებით) ღირებულება საანგარიშო პერიოდისა და ნაზარდი ჯამის ჩვენებით.

2.4 ანგარიშსწორება მოხდება ყოველთვიურად, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების და დადასტურებული მოცულობების მიხედვით, მიღება-ჩაბარების აქტის (ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობების მიღების აქტი) და დამატებული ღირებულების გადასახადის ანგარიშ-ფაქტურის გაფორმების საფუძველზე, მიღება-ჩაბარების აქტის და დამატებული ღირებულების გადასახადის ანგარიშ-ფაქტურის წარდგენიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში.

2.5 მიმწოდებლის მიერ წერილობითი თხოვნის საფუძველზე, შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს შუალედური გადახდები მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად შესრულებულ სამუშაოებზე, არსებული წესის შესაბამისად წარმოდგენილი სათანადო დოკუმენტაციის საფუძველზე.

2.6 წერილობითი თხოვნის საფუძველზე, მიმწოდებელს შეუძლია შემსყიდველს წარუდგინოს წინასწარი წერილობითი თხოვნა ავანსის გაცემასთან დაკავშირებით.

2.7 მიუხედავად შესაბამისი წერილობითი თხოვნისა, შემსყიდველი უფლებამოსილია არ დააკმაყოფილოს თხოვნა ავანსის გაცემის თაობაზე.

2.8 შემსყიდველის მიერ ავანსის გაცემასთან დაკავშირებით დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს <u>საბანკო დაწესებულების</u> მიერ გაცემული გასაცემი ავანის ოდენობის უპირობო საბანკო გარანტია რომლის ვადაც 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდესხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების ვადას.

2.9 მიმწოდებელზე გასაცემი საავანსო თანხა განისაზღვრება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების არაუმეტეს 40 % (პროცენტის) ოდენობით.

2.10 აღნიშნული თანხა მიმწოდებლის მიერ გამოყენებული იქნება მხოლოდ ამ კონტრაქტით გათვალისწინებული სამუშაოების ჩატარების მიზნით. შემსყიდველის მიერ გაცემული ავანსის დაკავება მოხდება ეტაპობრივად, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი და ხელშეკრულების პირობების შესაბამისად დადასტურებული პირველი თვის შესრულებიდან გაცემული ავანსის 30 % -ის (პროცენტი) ოდენობით, ხოლო მეორე თვის შესრულებიდან გაცემული ავანსის 70 % -ის (პროცენტი) ოდენობით.

2.11 შემსყიდველი უფლებამოსილია აამოქმედოს ავანსის უზრუნველსაყოფად გაცემული საბანკო გარანტია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების მე-2 მუხლის 2.10 პუნქტის დარღვევისა და ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, თუკი შეწყვეტის მომენტისათვის მიმწოდებელს არა აქვს დაქვითული გაცემული ავანსი ან მისი ნაწილი.

2.12 ავანსის გათვალისწინებული თანხის გადარიცხვა იწარმოებს უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით მიმწოდებლის მიერ უპირობო საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემდგომ.

2.13 ხელშეკრულების ფარგლებში ანაზღაურებული იქნება მხოლოდ იმ შესრულებული სამუშაოების, მათ შორის შემსყიდველთან შეთანხმებული შესრულებული გაუთვალისწინებელი სამუშაოების ღირებულება, რომლის მოცულობასა და ხარისხზე არსებობს უშუალოდ შემსყიდველის და საამისისოდ შერჩეული პირის (საზედამხედველო კომპანია) მიერ დადასტურებული აქტი.

2.14 გაუთვალისწინებელი სამუშაოების თანხების ხარჯვა მოხდება აუცილებლობიდან გამომდინარე, შემსყიდველთან შეთანხმებით.

2.15 იმ შემთხვევაში, თუ განსაზღვრული გარემოებების გამო, მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ არ შეადგინა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა, შემსყიდველი აუნაზღაურებს მიმწოდებელს მის მიერ ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ღირებულებას ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ერთეული ფასების შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე,

მიმწოდებელს არ უნდა გააჩნდეს პრეტენზია სამუშაოთა აუთვისებელ მოცულობების შესრულებაზე და მის გადახდაზე.

2.16 შესრულებული სამუშაოს სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის საგარანტიო ვადა შეადგენს ერთ წელს სამუშაოს მიღებიდან, რომლის განმავლობაშიც მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა.

2.17 სამუშაოს ხარისხის დაცვის მიზნით, შემსყიდველის მიერ ყოველთვიურად დაკავებული იქნება შესრულებული სამუშაოების ღირებულების 5%, რომლის ნახევრის (2,5%) დაბრუნება მოხდება სამუშაოს სრული დასრულებისა და შემსყიდველის მიერ შექმნილი სპეციალური კომისიის მიერ შედგენილი ობიექტის ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, ხოლო მეორე ნახევარი საგარანტიო ვადის (ერთი წლის) გასვლის შემდეგ. იმ შემთხვევაში, თუ კომისიის მიერ აქტის შედგენისას დაფიქსირებული იქნება შესრულებული სამუშაოს ნაკლი ან უხარისხობა, მიმწოდებელს აღნიშნული თანხა არ აუნაზღაურდება დეფექტების გამოსწორებამდე.

2.18 იმ შემთხვევაში თუ, სხვადასხვა მიზეზების გამო მიმწოდებელი ორგანიზაცია ვერ უზრუნველყოფს ან უარს აცხადებს ზემოხსენებული კომისიის მიერ აქტში დაფიქსირებული დეფექტების აღმოფხვრასთან დაკავშირებით, შემსყიდველი ობიექტზე ზედამხედველობის განმახორციელებელ ორგანიზაციასთან ერთად შეაფასებს დეფექტების აღმოფხვრის ხარჯს და მიმწოდებელს არ აუნაზღაურებს აღნიშნულ თანხას – ყოველთვიურად შესრულებული სამუშაოების ღირებულების დაკავებული 5%-დან. თუ დეფექტების აღმოფხვის ხარჯისათვის საჭირო თანხა აღემატება დაკავებულ 5%, შემსყიდველი დამატებით დააკისრებს მიმწოდებელს ზემოაღნიშნული განსხვავების გადახდას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2.19 მიმწოდებლის მიერ ხარისხის დაცვის მიზნით დაკავებული თანხის ოდენობის უპირობო საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია დაუბრუნოს დაკავებული შესრულებული სამუშაოების დარჩენილი 2.5 % (პროცენტი) მიმწოდებელ ორგანიზაციას. ასეთ შემთხვევაში, მინმწოდებლის მიერ წარმოდგენილი უპირობო საბანკო გარანტიის ვადა უნდა აღემატებოდეს დეფექტების აღმოფხვრის ვადას მინიმუმ 2 თვით.

მუხლი 3. სამუშაოს შესაბამისობა

3.1 ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებული შესასყიდი სამუშაოები უნდა შესრულდეს საპროექტო დოკუმენტაციის, მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების, მსგავსი სამუშაოებისათვის უკვე არსებული სტანდარტებისა და შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნების შესაბამისად.

3.2 3.1. პუნქტში აღნიშნული წესებიდან და ნორმებიდან ნებისმიერი გადახვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს სამუშაო ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.

მუხლი 4. სამუშაოს მიღება-ჩაბარების წესი

4.1 სამუშაოს მიღება ხორციელდება შესაბამისად ამ ხელშეკრულების 1.1. პუნქტში აღნიშნულ ადგილზე.

4.2 შესრულებული სამუშაოების მიღებისა და დადასტურების მიზნით, მიმწოდებელი უფლებამოსილია ყოველი საანგარიშო თვის არაუგვიანეს 15 რიცხვისა წარმოადგინოს შუალედური სამუშაოების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ანგარიშსწორებისათვის აუცილებელი დოკუმენტების (გადახდის სერთიფიკატი და დამატებული ღირებულების ანგარიშფაქტურა) თანდართვით. თვის ბოლოს შესრულებული სამუშაოების მიღების მიზნით, მიმწოდებელი ვალდებულია ყოველი საანგარიშო თვის არაუგვიანეს 31 რიცხვისა, წარმოადგინოს სამუშაოების შესრულების დამადასტურებელი ზემოთ მითითებული დოკუმენტაცია, ანგარიშსწორებისათვის აუცილებელი დოკუმენტების თანდართვით.

4.3 მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოები მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ ტექ-ზედამხედველის მიერ დადასტურებული მიღება-ჩაბარების აქტის (ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობების მიღების აქტი) და დამატებული ღირებულების გადასახადის ანგარიშ-ფაქტურის გაფორმების შემდეგ.

4.4 ამ ხელშეკრულების ძალით შესრულებული სამუშაოების შემოწმებას და მიღება-ჩაბარებას ახორციელებს შემსყიდველის მიერ უშუალოდ საამისოდ შერჩეული პირი (საზედამხედველო კომპანია), რომელიც ადგილზე ამოწმებს ხელშეკრულებით განსაზღვრულ ობიექტზე ყოველ თვეს შესრულებულ სამუშაოთა მოცულობას და ხარისხს.

4.5 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულებიდან არაუგვიანეს 7 სამუშაო დღისა მიმწოდებელი ატყობინებს შემსყიდველს სამუშაოთა დასრულების შესახებ. ტექზედამხედველი ამოწმებს სამუშაოთა მოცულობას ობიექტზე სამუშაოების დასრულების დროისათვის და მის მიერ სამუშაოთა მოცულობების დადასტურების შემთხვევაში გადასცემს სათანადო ინფორმაციას შემსყიდველს კომისიის ჩამოყალიბების მიზნით.

4.6 დასრულებული სამუშაოების მიღება ობიექტის ექსპლუატაციაში გაშვებისათვის განხორციელდება ტექნიკურ პირობებში მითითებული სამუშაოების საბოლო მიღების წესის შესაბამისად.

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) სამუშაოს შესრულების პროცესში იხელმძღვანელოს ამ ხელშეკრულების 3.1. პუნქტში გათვალისწინებული წესებითა და პირობებით;

ბ) ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები განახორციელოს ---------- პერიოდის განმავლობაში, მხარეთა შორის შეთანხმებული ს სამუშაოების წარმოების ვადების შესაბამისად;

გ) მიმწოდებელი ვალდებულია შეასრულოს სატენდერო წინადადებაში მითიღებული ვალდებულებები. მათში ცვლილებების შეტანა დასაშვებია მხოლოდ შემსყიდველის თანხმობით;

დ) მიმწოდებელი ყოველი თვის ბოლოს წარუდგენს შემსყიდველს ან მის მიერ საამისისოდ შერჩეული პირს (საზედამხედველო კომპანია) შესრულებულ სამუშაოს, სამუშაოების მიღების არსებული წესის თანახმად განსაზღვრულ ვადებში;

ე) ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოთა შესრულებისას იხელმძღვანელოს საპროექტო დოკუმენტაციის, ტექნიკური პირობების, სპეციფიკაციების, წინამდებარე ხელშეკრულების პირობებისა და საქართველოში მოქმედი ყველა საჭირო სამშენებლო ნორმების, სტანდარტებისა და წესების მოთხოვნების მიხედვით;

ვ) ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში იქონიოს მუდმივი კავშირი შემსყიდველი ორგანიზაციის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულთან - ტექნიკურ დეპარტამენტთან;

ზ) საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა;

თ) ანგარიშსწორებისას ყოველთვიურად მიუთითოს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს მთლიანი და ჯამური ღირებულება;

ი) სამუშაოების შესრულებაში მონაწილე საინჟინრო-ტექნიკური პერსონალისა და მუშა-მოსამსახურეების შემადგენლობის არანაკლებ 70 % (პროცენტი) დააკომპლექტოს საქართველოს მოქალაქეებით;

კ) შემსყიდველს უმოკლეს ვადაში აცნობოს მისი ორგანიზაციის მოსალოდნელი რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ;

ლ) ხელშკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) კვირის ვადაში შემსყიდველ ორგანიზაციაში წარმოადგინოს წერილობითი სახის ინფორმაცია თანდართული დოკუმენტაცით, დაგეგმილი სამუშაობის (კერძოდ, საიზოლაციო გრუნტის მეშვეობით გადანაყრების საიზოლაციო ფენის და სამარაგე კავალიერების მოსაწყობად) შეუფერხებლად განხორციელებისათვის საჭირო მიწის რესურსების (III კატეგორიის საიზოლაციო გრუნტი - თიხნარი და კენჭნარის მინარევით) კანონიერი წარმომავლობის თაობაზე.

5.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) აწარმოოს ინსპექტირება საამისოდ შერჩეულ პირთან ერთად სამუშაოს მიმდინარეობაზე, თანახმად საპროექტო დოკუმენტაციის, ტექნიკური პირობების, სპეციფიკაციების, წინამდებარე ხელშეკრულების პირობებისა და საქართველოში მოქმედი ყველა საჭირო სამშენებლო ნორმების, სტანდარტებისა და წესებისა, რომელთა დარღვევის შემთხვევაში იგი უფლებამოსილია შეაჩეროს სამუშაოები;

ბ) შეუფერხებლად აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოს ღირებულება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების შესაბამისად.

5.3 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველის, მიმწოდებლისა და ხელშეკრულების ინსპექტირების მიზნით შერჩეული სხვა პირების მონაწილეობით ფორმდება შესაბამისი აქტი, სადაც დეტალურად იქნება აღწერილი ხელშეკრულების შეუსრულებლობის მიზეზები, რის შემდგომაც შემსყიდველის შეხედულებისამებრ შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტირების მექანიზმი. თუ მიმწოდებელის წარმომადგენელი უარს აცხადებს აღნიშნული აქტის შედგენაში მონაწილეობაზე, ხსენებული ფიქსირდება ამავე აქტში და იგი იწვევს იმავე სამართლებრივ შედეგებს, რასაც გამოიწვევდა მიმწოდებლის წარმომადგენლის მონაწილეობით

შედგენილი აქტი. სამუშაოების უხარისხოდ შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია თავისი სახსრებით უზრუნველყოს წუნის აღმოფხვრა დაუყონებლივ.

5.4 უხარისხოდ შესრულებული სამუშაოების დაფიქსირება ხდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ კომისიური წესით შედგენილ აქტში, რის შემდეგაც შემსყიდველი განუსაზღვრავს მიმწოდებელს გონივრულ ვადას ხარვეზის აღმოფხვრისათვის. მიმწოდებელს არ უნაზღაურდება დეფექტების აღმოფხვრისათვის მის მიერ გაწეული დამატებითი ხარჯები.

5.5 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მხრიდან - შესრულებულ სამუშაოთა წარმოდგენილი მოცულობები, შემსყიდველის მიერ გადამოწმების შემთხვევაში არ შეესაბამება რეალობას, შემსყიდველი სათანადო აქტის შედგენის შემდეგ არ უნაზღაურებს მას აღნიშნულ სამუშაოთა ღირებულებას და განიხილავს ამ უკანასკნელის პასუხისმგებლობის საკითხს.

5.6 მიმწოდებელი ორგანიზაცია ვალდებულია სამუშაოების წარმოების პარალელურად უზრუნველყოს პოლიგონზე მყარი ნარჩენების მიღება და განთავსება, თანდართული საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისად. იმ შემთხვევაში თუ, მიმწოდებელი არასაპატიო მიზეზების გამო, ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების კონტრაქტით გათვალისიწინებულ ვადაში დასრულებას, იგი ვალდებულია სამუშაოების ვადის გაგრძელებისდა მიუხედავად, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს პოლიგონზე ნარჩენების მიღება და მათი ექსპლუატაცია. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების ვადის ობიექტური მიზეზით გაგრძელების შემთხვევაში კი, აღნიშნულ საკითს გადაწყვეტს შემსყიდველი ორგანიზაცია ობიექტზე საავტორო და სამუშაობზე ზედამხედველობის გამწევ კომპანიებთან შეთანხმებით.

მუხლი 6. ფორს-მაჟორი

6.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (სტიქიური უბედურება, ეპიდემია, ომი, კარანტინი, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, საზოგადოებრივი არეულობა, ცვლილებები კანონმდებლობაში და ა.შ.) ზეგავლენით, რომლის წინასწარ განსაზღვრა ან თავიდან აცილება მხარეების შესაძლებლობას აღემატებოდა. დაუძლეველი ძალით გამოწვეული მოვლენები ეწოდება მოვლენებს, რომლის წარმოშობასა და განვითარებაზე მხარეებს ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლიათ (ფორს-მაჟორი).

6.2 მხარე, რომელსაც მიზეზად დაუძლეველი ძალის მოვლენები მოჰყავს, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს წერილობით ასეთი მოვლენების დადგომის თაობაზე. ამასთან, მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა წარმოადგინოს დაუძლეველი ძალის მოვლენების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ ამ მოვლენამ არსებითად ხელი შეუშალა მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებაში.

მუხლი 7. პასუხისმგებლობა

7.1 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის დამრღვევი მხარე ვალდებულია მეორე მხარის მოთხოვნისთანავე გადაუხადოს მას პირგასამტეხლოს სახით ხელშეკრულების დარჩენილი ღირებულების 1% არაუგვიანეს 14 საბანკო დღეში და უზრუნველყოს დარღვეული უფლების დაუყოვნებლივ გამოსწორება.

7.2 წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულებების 0.1 % პროცენტის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

7.3 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

მუხლი 8. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

8.1 ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს <u>საბანკო დაწესებულების</u> მიერ გაცემული უპირობო საბანკო გარანტია, <u>რომლის ვადაც 30 კალენდარული დღით აღემატება ხელშეკრულების მოქმედების ვადას</u>. საგარანტიო თანხის ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ისოდენობით. გარანტია უნდა იყოს უპირობო და შემსყიდველს უნდა აძლევდეს უფლებას გარანტიის გამცემი <u>საბანკო დაწესებულებისგან</u> პირველი მოთხოვნისთანავე მიიღოს შესაბამისი თანხა.

8.3 ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი უპირობო საბანკო გარანტია გამოიყენება ნებისმიერი ზიანის ანაზღაურების მიზნით, რომელიც მიადგება შემსყიდველს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების გამო, აგრეთვე შემსყიდველის მიერ პირგასამტეხლოს გამოყენების შემთხვევაში.

8.4 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, შემსყიდველისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება ხორციელდება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი გარანტიის ფარგლებში, შემსყიდველისათვის მიყენებული ზიანის ოდენობის გათვალისწინებით.

8.5 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულების შემდეგ შემსყიდველი ვალდებულია დაუბრუნოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია.

8.6 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი იყენებს გარანტიას მისთვის ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგად მიყენებული ზიანის ფარგლებში.

8.7 მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო (ფორს-მაჟორული გარემოებები) ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებლის მოთხოვნისთანავე დაუბრუნოს მას ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია.

9. ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ, რაზედაც აცნობებს მეორე მხარეს წერილობითი ფორმით.

9.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მეორე მხარეს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.3 ხელშეკრულების შეწყვეტის გაფორმება ხდება დანართი შეთანხმების გზით, მაგრამ შეუთანხმებლობის შემთხვევაში მხარეებს უფლება აქვთ გამოიყენონ ხელშეკრულების ცალმხრივად (წერილობითი ფორმით) შეწყვეტის შესაძლებლობა.

9.4 შემსყიდველი უფლებამოსილია ვადამდე ცალმხრივად შეწყვიტოს ამ ხელშეკრულების მოქმედება,თუ:

ა) მიმწოდებელი არღვევს ამ ხელშეკრულების პირობებს (არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს) ;

ბ) მიმწოდებლის მიმართ მიმდინარეობს გაკოტრების საქმე (მიუხედავად მისი დაწყების დროისა);

გ) მიმწოდებლის ქონებას დაედო ყადაღა;

დ) მიმდინარეობს მიმწოდებლის რეორგანიზაცია, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია მოახდინოს ხელშეკრულების ჯეროვან შესრულებაზე;

ე) ამოიწურა ხელშეკრულების გარანტიით განსაზღვრული ვადა და მიმწოდებელმა არ წარმოადგინა ახალი გარანტია.

მუხლი 10. უფლებების გადაცემა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

10.2 მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

მუხლი 11. ქვეკონტრაქტორები

11.1 მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა ქვეკონტრაქტის შესახებ, თუ ეს უკვე არ არის მითითებული სატენდერო წინადადებაში.

11.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა ქვეკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

11.3 ქვეკონტრაქტორის მიერ შესასრულებელი სამუშაოების ჯამური მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს შესასრულებელი სამუშაოების მთლიანი მოცულობის 40%.

11.4 მუშაობის პროცესში ქვეკონტრაქტორის შეცვლა, ან დამატებითი ქვეკონტრაქტორის აყვანა ასევე უნდა შეთანხმდეს შემსყიდველთან. მიმწოდებელი ვალდებულია აცნობოს შემსყიდველს მოცულობის რა ნაწილი გადაეცემა ქვეკონტრაქტორს.

11.5 სამუშაოების ნაწილის ქვეკონტრაქტორზე გადაცემით მიმწოდებელი არ თავისუფლდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებიდან.

11.6 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას თავის საკვალიფიკაციო მონაცემებით წარმოდგენილი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად საჭირო ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის ნებისმიერი ცვლილების შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს შემსყიდველს წერილობითი სახით და აღნიშნული ცვლილებების საკითხი შეათანხმოს შემსყიდველ ორგანიზაციასთან.

მუხლი 12. შეტყობინება

12.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

12.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

მუხლი 13. ინსპექტირება

13.1 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების ინსპექტირებას, მათ შორის კონტრაქტით გათვალისწინებული ვადების მიმდინარეობის კონტროლს ახორციელებს შემსყიდველის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ტექნიკური დეპარტამენტის ქვედანაყოფი - ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილება და აგრეთვე, შემსყიდველის მიერ საამისისოდ შერჩეული პირი (საზედამხედველო კომპანია).

13.2 საჭიროების შემთხვევაში, ობიექტზე არსებული ვითარების შესახებ დამატებით სიტყვიერ ან წერილობითი ხასიათის ინფორმაციას შემსყიდველი ორგანიზაციის ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილებას აწვდის შემსყიდველის სტრუქტურული ერთეულის რეგიონული მართვის დეპარტამენტის რეგიონებთან ურთიერთობის კოორდინატორები.

13.3 ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს შესრულებული სამუშაოს ხარისხის ინსპექტირება.

13.4 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

13.5 შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების პირობების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობაზე. შესრულებული სამუშაოების ტექნიკური მონიტორინგი და კონტროლი ევალება შემსყიდველი ორგანიზაციის ტექნიკურ დეპარტამენტს (უფროსი მ.ტვილდიანი).

13.6 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

13.7 სამუშაოების მიმდინარეობაზე შემსყიდველი აწარმოებს კონტროლს საპროექტო დოკუმენტაციის, ტექნიკური პირობების, სპეციფიკაციების, წინამდებარე ხელშეკრულების და საქართველოში მოქმედი ყველა საჭირო სამშენებლო ნორმების, სტანდარტების და წესების თანახმად, რომელთა დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია შეაჩეროს სამუშაოების მიმდინარეობა და განახორციელოს ამ ხელშეკრულებით და კანონმდებლობით გათვალისწინებული სანქციები.

მუხლი 14. სხვა პირობები

14.1 ნებისმიერი გადახრა ან ცვლილება ამ ხელშეკრულების პირობებში დაიშვება მხოლოდ ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების საფუძველზე.

14.2 იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოების შესრულების დროს ამ ხელშეკრულების ღირებულებისა და ანგარიშსწორებიდან გამომდინარე, ან რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, მათ შორის ფასების გადასინჯვის შესაძლებლობა, ასეთი ცვლილებები დასაშვებია წინამდებარე ხელშეკრულების საერთო შინაარსის ფარგლებში და ცვლილებების შეტანის ინიციატორი მხარე ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი დასაბუთებული ინფორმაცია.

14.3 ნებისმიერ ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

14.4 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

14.5 მხარეთა შორის წარმოშობილი სადავო საკითხები წყდება ურთიერთშეთანხმებითა და მოლაპარაკებების გზით. იმ შემთხვევაში, თუ შეთანხმება არ იქნება მიღწეული უთანხმოების წარმოშობიდან 30 დღის განმავლობაში, დავა გადაწყდება სასამართლოს მეშვეობით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.6 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი შემსყიდველთან და ერთი პირი მიმწოდებელთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.7 მიმწოდებლის საატენდერო წინადადება (საკვალიფიკაციო მონაცემები, სამუშაოების შესრულების გრაფიკი, ხარჯთაღრიცხვა, საგარანტიო უზრუნველყოფა, ტექნიკური პირობები _ განმარტებითი ბარათი; ნახაზები; სპეციფიკაციები და სხვა დოკუმენტაცია) თან ერთვის და წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან (თუ სხვა უფრო კონკრეტული ვადა არ არის განსაზღვრული), მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე – 2014 წლის --- ---------- ჩათვლით.

მუხლი 16. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:

შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“, იურიდიული მის: საქართველო, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. N12, ფაქტიური მის: ანა პოლიტკოვსკაია 10, საბანკო რეკვიზიტები: საიდენტიფიკაციო კოდი 404942470, სს „თიბისი ბანკი“, ბანკის კოდი TBCBGE22, ანგარიშის ნომერი: GE51TB7161936080100005.

ხელმოწერა ---------- გიორგი შუხოშვილი

მიმწოდებელი:

ხელმოწერა ---------- ----------

აფიდავიტი

სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე

ქვემოხსენებულ ტენდერში მონაწილეობის მიღების მიზნით, ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება შემუშავებულია კონკურენტისგან დამოუკიდებლად. ასევე ვადასტურებ, რომ:

* ჩემთვის ცნობილია, რომ სატენდერო წინადადება დისკვალიფიცირებულ იქნება, თუ აღმოჩნდა, რომ აფიდავიტში მოყვანილი ინფორმაცია არის ყალბი ან/და ცრუ;

* უფლებამოსილი ვარ პრეტენენტის მიერ, ხელი მოვაწერო ამ აფიდავიტს და წარვადგინო ეს სატენდერო წინადადება;

* ნებისმიერ პირი, რომლის ხელმოწერაც დაფიქსირებულია სატენდერო წინადადებაზე, შესაბამისად უფლებამოსილია პრეტენდენტის მიერ;

* ჩემთვის ცნობილია რომ ტერმინი "კონკურენტი" აფიდავიტის მიზნებიდან გამომდინარე, გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც შესაძლებელია იყოს პრეტენდენტი ან/და წარადგინოს სატენდერო წინადადება ამ ტენდერში;

* მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით პრეტენდენტსა და კონკურენტს შორის არ წარმოებულა კონსულტაცია, კომუნიკაცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- სატენდერო წინადადების ფასი;
- სატენდერო წინადადების ფასის გამოთვლის მეთოდი, კოეფიციენტი ან ფორმულა;
- სატენდერო წინადადების წარდგენა ან წარდგენისგან თავის შეკავება;
- ისეთი სატენდერო წინადადების წარდგენა, რომელიც არ აკმაყოფილებს გამოცხადებული ტენდერის პირობებს;
- შესყიდვის ობიექტის ხარისხი, მოცულობა, ტექნიკური პირობები ან მიწოდების დეტალები, რომელთაც ეხება სატენდერო წინადადება;

* სატენდერო წინადადების პირობები პრეტენდენტს წინასწარი ეცნობა ერთობლივ, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ გაუმჟღავნებია ან/და არ გაუმჟღავნებს კონკურენტს სატენდერო წინადადების განსაჯაროების მომენტამდე.

გავეცანი ამ აფიდავიტის შინაარსს და ვადასტურებ წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას.

სახელმწიფო შესყიდვების მიზნებისთვის, აფიდავიტი წარმოადგენს სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმომწერი, პრეტენდენტის სახელით, ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობაზე. აფიდავიტით განსაზღვრული პირობების დარღვევა იწვევს სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 195[1] მუხლის შესაბამისად.

დანართი N2

<u>რეკვიზიტები</u>

პრეტენდენტის სამართლებრივი ფორმა და დასახელება:	
ხელმძღვანელის სახელი და გვარი:	
პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:	
საიდენტიფიკაციო კოდი:	
პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:	
ელექტრონული მისამართი:	
მომსახურე ბანკი:	
ბანკის კოდი:	
ანგარიშის ნომერი:	
სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შემოთავაზებული სატენდერო წინადადების ფასი :	
ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის ოდენობა პროცენტულად.	
ინფორმაცია ანგარიშსწორების შესახებ:	
ინფორმაცია შესრულებული სამუშაოების საგარანტიო ვადის შესახებ:	

(ხელმოწერა) ბ.ა.

დანართი №3

ინფორმაცია მსგავსი სამუშაოების შესახებ

N	**შესრულებული სამუშაოების დასახელება**	**სამუშოების შესრულების ვადები წელი**	**შესრულებული სამუშაოების მთლიანი ღირებულება**

_____ _____

ხელმოწერა, ბ/ა (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში)

შენიშვნა:

პრეტენდენტს წარმატებით განხორციელებული უნდა ქონდეს მსგავსი ხასიათის, სირთულის და შინაარსის სამუშაოები, რომლის ჯამური ღირებულება უნდა შეადგენდეს არანაკლებ **500 000** ლარს. პრეტენდენტმა აღნიშნულ ინფორმაციასთან ერთად ელექტრონული სისტემის მეშვეობით უნდა წარმოადგინოს შესრულებული სამუშოების შესაბამისი ხელშეკრულებები და ამ სამუშაოების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია . **მსგავს სამუშაოებში იგულისხმება უპირატესად ის სამუშაოები, რომელსაც თან ახლავს მნიშვნელოვანის მოცულობის მიწის სამუშაოები (მოჭრა, გადატანა, ყრილის მოწყობა, შემკვრივება, გრუნტის დამბების მოწყობა, წყალარინების (არხები) მოწყობა, ქვიშა-ხრეშოვანი გზების მოწყობის სამუშაოები).**

საჭიროების შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია უზრუნველყოს წარმოდგენილი ინფორმაციის გადამოწმება.

ინფორმაცია სამუშაოთა შესრულების პროცეში გამოყენებული მანქანა-მექანიზმების შესახებ

N	მინიმალური მოთხოვნა			ივსება პრეტენდენტის მიერ(*)			
N	დასახელება/ აღწერილობა	განზომ	რაოდ.	დასახელება/ აღწერილობა/მოდელი (*)	რაოდენობა/ განზომილება (*)	მფლობელობის ფორმა (**)	მფლობელის დასახელება (***)
1	2	3		4	5	6	7
1	ბულდოზერი (სიმძლავრით მინიმუმ 79 კვტ)	ც	1				
2	ექსკავატორი (ჩამჩის მოცულობით 0,65მ3)	ც	1				
3	ავტოთვითმცლელი (მინიმუმ 6 ,0 მ3 ტევადობის)	ც	3				

(*) ცხრილის მე-4 და მე-5 სვეტში წარმოდგენილი ინფორმაცია უნდა შეესაბამებოდეს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მინიმალურ მოთხოვნებს.

(**) პრეტენდენტს ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად უნდა გააჩნდეს საკუთარი ან საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული ან აუკრძალავი ნებისმიერი ფორმით (იჯარა, თხოვება და ა.შ.) ცხრილის მე-4 და მე-5 სვეტში მითითებული დასახელებისა და რაოდენობის მანქანა-მექანიზმები, შესაბამისად ცხრილის მე-6 სვეტში პრეტენდენტმა უნდა მიუთითოს მფლობელობის ფორმა (მაგ. საკუთარი, იჯარა,თხოვება და ა.შ).

(***) ცხრილის მე-7 სვეტში პრეტენდენტმა უნდა მიუთითოს მფლობელის დასახელება, ხოლო აღნიშნული ინფორმაციის დასადასტურებლად პრეტენდენტმა ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით უნდა წარმოადგინოს მანქანა-მექანიზმების მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტი. ასევე მანქანა-მექანიზმების სხვა მესაკუთრისაგან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული ან აუკრძალავი ნებისმიერი ფორმით (იჯარა, თხოვება და ა.შ.) მიღების შემთხვევაში პრეტენდენტმა ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით უნდა წარმოადგინოს შესაბამის მანქანა-მექანიზმზე შედგენილი მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (იჯარის, თხოვების ხელშეკრულებები და ა.შ), რომლის მოქმედების ვადა არ უნდა იყოს სამუშაოების დასრულების ვადაზე ნაკლები.

საჭიროების შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია უზრუნველყოს წარმოდგენილი ინფორმაციის გადამოწმება

_____ _____

ხელმოწერა, ბ/ა (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში)

შენიშვნა: ტექნიკის ჩამონათვალში მოცემული მანქანა-მექანიზმების პაკეტი უნდა შეესაბამებოდეს შესასრულებელი სამუშაოების ხასიათს და მოცულობას და მანქანა-მექანიზმების პაკეტი არ უნდა იყოს საპროექტო დოკუმენტაციაში მითითებული ტექნიკის პაკეტზე ნაკლები. (იხილეთ მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის განმარტებით ბარათი)

დანართი N5

ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა

(საბანკო გარანტია)

ვის:

_____

(შემსყიდველის დასახელება)

მხედველობაში ვიღებთ რა, რომ

_____

(მიმწოდებლის დასახელება)

შემდგომში „მიმწოდებელმა" _____ ტენდერში წარდგენილი თავისი

_____

(ტენდერის დასახელება)

სატენდერო წინადადების შესაბამისად იკისრა ვალდებულება წარმოადგინოს საბანკო გარანტია მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების გარანტიის სახით ხელშეკრულებაში მითითებულ თანხაზე, ჩვენ თანახმა ვართ გავცეთ მიმწოდებლის სახელზე ზემოთ აღნიშნული გარანტია.

ამასთან დაკავშირებით, ვადასტურებთ, რომ ვართ გარანტები და პასუხისმგებლები თქვენს წინაშე მიმწოდებლის სახელით საერთო თანხაზე:

_____

(თანხა ციფრობრივად, სიტყვიერად, ვალუტის მითითებით)

და ვკისრულობთ ზემო აღნიშნული თანხის გადახდას მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის საფუძველზე თქვენი პირველივე მოთხოვნისთანავე.

წინამდებარე გარანტია ძალაშია _____

გარანტების ხელმოწერა და ბეჭედი

_____